თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

## ისრაელი VS პალესტინა — დაუსრულებელი კონფლიქტი



იხილეთ მე-4 გვერდზე

№24 (712) 14 - 20 ივლისი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# რა საფრთხეებს ატარებს ქალის უკანალზე ტელევიზიით აჟღერებული ფოლკლორი თუ ანეკდოტები?



## უწყინარი ხუმრობა თუ ქალთა დისკრიმინაცია — ტელეკომპანიისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ

ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა „ბინა 18-ში“ მომხდარი ფაქტი საყოველთაო განხილვის საგანი გახდა. გადაცემის ავტორების ინიციატივით, ჯგუფი „ბანი“-ს ერთ-ერთმა წევრმა ინსტრუმენტად გოგონების სხეული გამოიყენა. კომპოზიციის შესრულებას გადაცემის წამყვანები, ჯგუფის წევრები და დარბაზში მყოფი მაყურებლები ოვაციებით შეხვდნენ. თუმცა, როგორც გადაცემის წამყვანები აღნიშნავენ, „უწყინარი ხუმრობა“ საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი და ტელევიზიის ხელმძღვანელობისგან ბოდიშის მოხდის მიზეზი გახდა. რაზედაც გადაცემის წამყვანები და ტელევიზიის წარმომადგენლობა უარს აცხადებენ, იმ მიზეზით, რომ მათ ქალების დისკრიმინაცია არ უფიქრიათ, ეს მხოლოდ გართობა იყო, რასაც მონაწილეები საკუთარი ნებით დათანხმდნენ.

პროტესტი მხოლოდ სოციალურ ქსელში გარჩევით არ შემოიფარგლა. უფრო მეტიც, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მომხდარი ქალთა დისკრიმინაციისკენ მიმართულ კამპანიად შერაცხეს. ქალთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის მაღალი სტატისტიკის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად მსგავსი ტიპის გასართობი გადაცემები და ანეკდოტები დაასახელეს.

**მომხდარს ვრცელი განცხადებით გამოეხმაურა სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი.**

„სახალხო დამცველი შეშფოთებას გამოთქვამს სოციალურ სივრცეში გავრცელებული ვიდეო ჩანაწერის გამო, რომელიც ტელეკომპანია GDS-ის მიერ მომზადებული გადაცემა „ბინა 18“-ის ფარგლებში გავიდა. ქალის სხეულის მუსიკალურ ინსტრუმენტთან გაიგივება შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველია არა მხოლოდ მონაწილე ქალების, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

გოგა პიპინაშვილი:

## „აიფონის თაობა მოდის და ეს ბევრ რამეს წალეკავს“



იხილეთ **მე-5 გვერდზე**

## ბიძინა ივანიშვილი ტელეწამყვანი ხდება



იხილეთ **მე-6 გვერდზე**

## ვინ რა იცის ასოცირების ხელშეკრულების შინაარსზე?

იხილეთ **მე-2 გვერდზე**

## ქართული სასამართლო გამჭვირვალობის სტანდარტებს არღვევს?

იხილეთ **მე-3 გვერდზე**

## ქუთაისში ბოინგზე დაკლული პირუტყვის სისხლი მდინარე რიონში ჩაედინება

იხილეთ **მე-4 გვერდზე**

ლია მუხაშავრია:

## „მიუკერძოებელი მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების გაზრდის მცდელობა ყოველთვის საეჭვოდ აღიქმება“

იხილეთ **მე-4 გვერდზე**

## ქუთაისში გაუჩინარებულ გოგონას ეძებენ

იხილეთ **მე-7 გვერდზე**

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7 კროსვორდი — გვ. 7

## ტყიბულში, ხონსა და ბაღდათში ახალი ამბულატორიები გაიხსნა

იმერეთის სამ რაიონში: ტყიბულში, ხონსა და ბაღდათში პირველადი სამედიცინო მომსახურების პუნქტები გაიხსნა. ახალი ამბულატორიები ჯანდაცვის პირველმა მოადგილემ დიმიტრი მახათაძემ და იმერეთის გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა მოინახულეს.

სოფელ ხრესილში განთავსებული ამბულატორია, დაახლოებით, 1200 ადამიანს გაუწევს პირველად სამედიცინო მომსახურებას. სოფელში ამ დრომდე არსებული ამბულატორიის შენობა მედპერსონალისთვის შესაბამის პროფესიულ პირობებს ვერ აკმაყოფილებდა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთში გახსნილი ამბულატორია კი 6 სოფელს მოემსახურება.

სოფელში დღემდე სამედიცინო დაწესებულება კოოპერატივ „იმედი"-ს შენობაში ფუნქციონირებდა, რაც მედპერსონალს სამედიცინო მომსახურების გაწევის დროს პრობლემებს უქმნიდა. ახალი ამბულატორიები შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმებითა და მედდებით და ასევე, ახალი ინვენტარით არის აღჭურვილი.

მთავრობის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით 82 ამბულატორიის გახსნა იგეგმება, აქედან 13 მათგანი იმერეთის რეგიონში განთავსდება.

პროექტს რეგიონული განვითარებისა და ჯანდაცვის სამინისტროები ახორციელებენ.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

psnews.ge

# ისრაელი VS პალესტინა — დაუსრულებელი კონფლიქტი

**ისრაელსა და პალესტინას შორის კვლავ დაძაბული ვითარებაა. ჰამასის მიერ განხორციელებული დარტყმები ისრაელის ანტისარაკეტო სისტემებმა მოიგერიეს, თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ვითარება კვლავ უკიდურესად დაძაბულია.**



ისრაელსა და პალესტინას შორის დაპირისპირება, რომელიც უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, XIX საუკუნიდან იღებს სათავეს. მათ შორის არსებული კონფლიქტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი დაპირისპირებაა, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ეწირება. 2008 წელს მათ შორის ურთიერთობა უფრო გამწვავდა და ნამდვილ ომში გადაიზარდა. მრავალი წლის განმავლობაში მხარეები ვერ თანხმდებიან კონფლიქტის დასასრულის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რის გამოც ახლო აღმოსავლეთის ამ კონფლიქტმა საერთაშორისო საზოგადოებისა და სისტემის წამყვანი სახელმწიფოებისა თუ ორგანიზაციების ყურადღება დიდი ხანია მიიპყრო. გაეროს, ევროსაბჭოსა და აშშ-სთვისაც კი გადაუჭრელ ამოცანად იქცა ნახევარსაუკუნოვანი დაპირისპირების აღმოფხვრა და რეგიონში მშვიდობის დამყარება.

ეს 2012 წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა, როცა პალესტინელებმა მიზანში თელავივი ამოიღეს. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ პალესტინა გააფრთხილა, რომ თუ სარაკეტო თავდასხმები არ შეწყდება, ის სახმელეთო ოპერაციისთვის რეზერვისტების გამოძახებას დაიწყებს.

„ისრაელის სახელმწიფო სიმშვიდისა და უსაფრთხოების აღსადგენად ოპერაციას აწარმოებს. ჩვენ არ შევეგუებით ქალაქებზე სარაკეტო იერიშებს, ამიტომ მე გავეცი ბრძანება გავაფართოოთ არმიის მიერ წარმოებული ოპერაცია, რომელიც ჰამასის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ჩვენ არ მივისწრაფვით ომისკენ, თუმცა ჩვენი მოქალაქეებისა და შვილების სიცოცხლე ყველაზე მნიშვნელოვანია," — განაცხადა ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

სამხედრო იერიშებს წინ უძღოდა ღაზას სექტორის მიმართულებით 130-მდე რაკეტის გაშვება, რასაც პალესტინის მხრიდან, დაახლოებით, 24 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ჰამასის 5 მებრძოლი. პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა საერთაშორისო საზოგადოებას დახმარება ტელემიმართვით სთხოვა:

„ის, რაც ღაზას სექტორში, დასავლეთ სანაპიროსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში ხდება, არ არის ომი ორ არმიას შორის. პალესტინელები უაიარაღო ხალხია, რომლებიც ოკუპაციის პირობებში ცხოვრობენ. დროა საერთაშორისო საზოგადოებამ და უშიშროების საბჭომ აიღოს პასუხისმგებლობა და ჩვენი ხალხის დაცვის გარანტიები შექმნას," — განაცხადა მაჰმუდ აბასმა.

ისრაელის წინააღმდეგ სარაკეტო იერიშების განხორციელებას ამერიკის შეერთებული შტატები გმობს. აღნიშნულის შესახებ საგანგებო განცხადება თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯოშ ერნესტმა გააკეთა.

„ვგმობთ სარაკეტო იერიშებს ისრაელის წინააღმდეგ. ღაზას სექტორის ტერორისტული ორგანიზაციები მიზანში რიგით მოქალაქეებს იღებენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ისრაელის უფლებას დაიცვას თავი ამგვარი იერიშებისგან," — განაცხადა ჯოშ ერნესტმა.

ისრაელის ავიაშეტევების შედეგად ღაზას სექტორში დაღუპულთა რიცხვი 90-მდე გაიზარდა. ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება. პალესტინის ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, დაღუპულთა შორის უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქეები არიან, 560-მდე ადამიანი კი დაჭრილია.

ამასთან, როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, აშშ მზად არის შუამავლის როლი შეასრულოს ისრაელსა და პალესტინელ „ბოევიკებს" შორის ცეცხლის შეწყვეტაში. „აშშ მზად არის ხელი შეუწყოს მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტას, 2012 წლის ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დაბრუნების ჩათვლით" — ნათქვამია თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ისრაელის განცხადებით, ოპერაცია „უძლეველი კლდის" დაწყებიდან დღემდე, ისრაელმა ღაზას სექტორიდან გამოშვებული 500-მდე რაკეტა ჩამოაგდო, მათ შორის უმრავლესობა ანტისარაკეტო სისტემა „რკინის გუმბათის" მეშვეობით.

ძალადობის შეჩერების აუცილებლობაზე ისაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა.

„უკიდურესად შეშფოთებულები ვართ იმ ძალადობით, რომელშიც მონაწილეობენ ისრაელის ძალები და ჰამასი. მოხდა სარაკეტო შეტევები და მნიშვნელოვანია, რომ ორივე მხარემ გაიაზროს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები და უარი თქვას ძალადობის ამ სპირალზე. საქართველო არ არის შორს ამ რეგიონიდან და ეს კითხვა მართებულად არის დასმული," — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მინისტრთან ერთად ეკონომიკური დიპლომატიის შესახებ სემინარი გახსნა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს, პრობლემის შექმნის შემთხვევაში, შეუძლიათ, საქართველოს საელჩოს და საკონსულოებს მიმართონ, ასევე, ისარგებლონ საგარეო უწყების ცხელი ხაზით.

„ჩვენ მუდმივ კონტაქტში ვართ ჩვენს საელჩოსთან და საკონსულოსთან. ჯერჯერობით, მადლობა ღმერთს, არაფერი ცუდი ჩვენს მოქალაქეებს არ შეხვედრიათ და შესაბამისად, არანაირი შეტყობინება არ მიგვიღია იქიდან რაიმე საშიში მდგომარეობის გამო, მაგრამ საელჩო და საკონსულო არის მუდმივი მუშაობის პროცესში და ყველა მოქალაქეს, ვისაც სადმე რაიმე დაბრკოლება შეექმნება, შეუძლია მიმართოს საელჩოს და საკონსულოს, გარდა ამისა, რა თქმა უნდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზს და რეაგირება იქნება მყისიერი," — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

**ცოტნე გაბადაძე**

**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:** ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# ვინ რა იცის ასოცირების ხელშეკრულების შინაარსზე?

**საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასოცირების დღის წესრიგი გამოაქვეყნა. დღის წესრიგის პრიორიტეტების ნაწილში პოლიტიკური დიალოგისა და რეფორმის განხორციელებაზეა საუბარი. ასოცირების დღის წესრიგი 2014-2016 წლებში ერთობლივი მუშაობისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების სიას წარმოადგენს.**

მათ შორის იგულისხმება, დემოკრატიული პრინციპების, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, მათ შორის უმცირესობების უფლებების დაცვის პატივისცემის გაძლიერება, გაერო-სა და ევროსაბჭოს ძირითადი კონვენციებისა და შესაბამისი ოქმების შესაბამისად; ასევე ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების გზით შიდა პოლიტიკური რეფორმების კონსოლიდაციის ხელშეწყობა.

აღნიშნულ სფეროებში წარმატების მიღწევა კი შემდეგი გზით უნდა მოხდეს: არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველყოფა, საკანონმდებლო ჩარჩოსა და საარჩევნო ადმინისტრირებაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისა (IATF) და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ განსაზღვრული ნებისმიერი ნაკლოვანების აღმოფხვრა, მათ შორის 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან მიმართებით.

„კონსტიტუციური ცვლილებების (საჭიროების შემთხვევაში) განხორციელება ქვეყნის შიგნით და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიასთან ყოველმხრივი კონსულტაციების შედეგად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ცვლილებების მდგრადობა; კონსტიტუციის მოქნილობასა და სტაბილურობას შორის ბალანსის გაუმჯობესება და პარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილებების გაძლიერება ვენეციის კომისიის დასკვნის შესაბამისად; კონსტიტუციის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის როლების პატივისცემის უზრუნველყოფა; პოლიტიკურ სისტემაში შესაბამისი კონტროლისა და ბალანსის უზრუნველყოფა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო გადადის ნახევრად საპრეზიდენტოდან საპარლამენტო სისტემაზე. პარლამენტის როლისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების გაგრძელება," — ნათქვამია ასოცირების დღის წესრიგში.

ერთ-ერთი საკითხი, რაზეც დღის წესრიგშია საუბარი, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებაა. ამ მიმართულებით დღის წესრიგი გულისხმობს შემდეგი ნაბიჯების გადადგმას: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის შენარჩუნება კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით, შეთანხმებულ ფორმატებში, მათ შორის, კონსულტაციების გამართვა, საქართველოს რეგიონების — აფხაზეთისა და ცხვინვალის რეგიონის/ე.წ. სამხრეთ ოსეთი ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესში შესაბამისად ჩასართავად გზების მოძიების მიზნით."

ასევე „კონფლიქტის მოგვარების საკითხზე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და კოორდინაციის ინტენსიფიკაცია, მათ შორის, რეგულარული პოლიტიკური დიალოგის წარმოების გზით."

ამასთან, „კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით გაწეული ძალისხმევის მხარდაჭერა, მათ შორის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარების გზით, საქართველოს შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკისა და ევროკავშირის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის ჭრილში, რომელზეც ისინი თანამშრომლობენ."

ასევე ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა, ვაჭრობის, მოგზაურობისა და ინვესტიციების წახალისების მიზნით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, კანონმდებლობის გადახედვა, როგორიცაა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი; საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების მიმართულებით მუშაობა."

„კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება, როგორც მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგის, ისე შესაბამის საერთაშორისო სუბიექტებთან დიალოგისას დღის წესრიგის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი;

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

# ქართული სასამართლო გამჭვირვალობის სტანდარტებს არღვევს?

**4 ივლისს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"-მ მიმდინარე გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის მეორე ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში ასახული მონიტორინგის პერიოდი მოიცავს 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის მაისამდე 11 საქმეზე გამართულ სასამართლო სხდომებს.**



ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, დამკვირვებლები ესწრებოდნენ იმ სასამართლო სხდომებს, სადაც რვა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის — ივანე მერაბიშვილის, გიგი უგულავას, ნიკანორ მელიას, ბაჩანა ახალაიას, დათა ახალაიას, ნიკა გვარამიას, მეგის ქარდავას და ცეზარ ჩოჩელის — საქმეები იხილებოდა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესების ნაწილი უკვე დასრულებულია და საქმეებზე საბოლოო განაჩენებია გამოტანილი, თუმცა ანგარიშმა ასევე მოიცვა საქმეები, რომელთა განხილვა ამჟამადაც მიმდინარეობს. მაგალითად, ვანო მერაბიშვილის სამი საქმიდან ორი დასრულებულია, ორივე საქმეში ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი, ერთი საქმე ამჟამად მიმდინარეობს. ბაჩანა ახალაიას ხუთი საქმიდან სამი დასრულებულია, მათგან ორ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი დადგა, ერთზე კი — გამამტყუნებელი. ამ უკანასკნელ საქმეზე ის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეიწყალა. თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარეობს ოთხი საქმე. მეგის ქარდავას წინააღმდეგ არსებული საქმეებიდან ჩვენი მონიტორები ორს აკვირდებოდნენ. ორივე საქმეში მეგის ქარდავა დამნაშავედ სცნეს.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" აცხადებს, მონიტორინგმა ზოგადი ტენდენციები გამოავლინა. მაგალითად, წინა მონიტორინგის პერიოდთან შედარებით, გაუმჯობესებულია პროცესებზე პროკურატურის წარმომადგენელთა გამოსვლები. მათი პოზიცია ზოგ შემთხვევაში გაცილებით არგუმენტირებული იყო. წინა მონიტორინგის პერიოდისგან განსხვავებით, ბრალდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე არ არის დაფუძნებული. საქმეთა ნაწილზე პროკურატურას სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებებიც მოჰყავდა.

ასევე, ზოგ შემთხვევაში სასამართლოთა შენობებში ვერ ხერხდებოდა მოწმეების განცალკევება. ამის შედეგად ერთ საქმეზე დაბარებული რამდენიმე მოწმე სხდომის დაწყებას დერეფანში ერთად ელოდებოდა და მათ კომუნიკაციის შესაძლებლობა ჰქონდათ. მონიტორები ხშირად აფიქსირებდნენ, რომ მოწმეები დერეფანში ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

მონიტორინგის პერიოდში ვრცელდებოდა მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები, რომლებიც პირდაპირ არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას. როგორც ორგანიზაცია აცხადებს, ასეთი შემთხვევები შესაძლოა სასამართლოზე არაპირდაპირ ზეწოლად შეფასდეს. პროცესების მიმდინარეობისას პოლიტიკოსები საქმეთა პოლიტიზირებას ცდილობდნენ, რასაც შეეძლო არაპირდაპირ გავლენა მოეხდინა მოსამართლეებზე.

რაც შეეხება ცალკეულ საქმეებს, ორგანიზაცია რამდენიმე გამოკვეთილ გარემოებას აღნიშნავს. მაგალითად, ვანო მერაბიშვილის და გიგი უგულავას საქმეებში პროკურატურის რამდენიმე მოწმე თავად იყო ბრალდებული და მათ მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა. თუმცა, ამ მოწმეთაგან ზოგიერთის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მათი ბრალდების მხარის მოწმედ გამოსვლის პერიოდში შეწყდა. ამ მოწმეებმა ჩვენებებს ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ მისცეს.

რამდენიმე სხდომაზე პროკურორები პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას სხვადასხვა მიზეზის გამო ცდილობდნენ (მაგალითად, გიგი უგულავას და ბაჩანა ახალაიას საქმეები). ერთ შემთხვევაში პროცესის გაჭიანურება დაცვის მხარემ სცადა.

ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებულ სამ სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული მოსამართლეები (ბესიკ ბუგიანიშვილი, დავით მგელიაშვილი და გიორგი დარახველიძე) ამ საქმეების განხილვამდე მცირე ხნით ადრე, სხვადასხვა სასამართლოებიდან ერთსა და იმავე დღეს გადმოიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ ასეთი პრაქტიკა არ პასუხობს გამჭვირვალობის სათანადო სტანდარტებს და სასამართლოში საქმეთა განაწილების სისტემის ხარვეზიანობაზე მიუთითებს.

როგორც მონიტორინგშია აღნიშნული, გიგი უგულავას სასამართლომ სხდომაზე მისი არყოფნისას მერის უფლებამოსილება შეუჩერა. მართალია, სასამართლო უფლებამოსილია ასეთი შუამდგომლობა მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა და ის პირდაპირი არჩევნებით არჩეულ თბილისის მერს ეხებოდა, უმჯობესი იქნებოდა, მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობა მხარეთა თანდასწრებით განხილულიყო და დაცვის მხარეს საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა მისცემოდა.

ბაჩანა ახალაია თითქმის ერთი წლის განმავლობაში იყო დაპატიმრებული, თუმცა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ არსებობდა. მართალია, ეს კანონის დარღვევას არ წარმოადგენს, რაც, ერთი მხრივ, კანონმდებლობის ხარვეზზე მიუთითებს და, მეორე მხრივ, ბადებს ეჭვს, რომ ბრალდების მხარეს შეეძლო ეს ხარვეზი ბოროტად (ბრალდებულის ხანგრძლივად პატიმრობაში დატოვებისთვის) გამოეყენებინა.

გარდა ამისა, მონიტორინგში აღნიშნულია, რომ გამოიკვეთა მოწმე, რომელიც სხვადასხვა თანამდებობის პირის წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას. მაგალითად, ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა პირმა, რომელიც ბაჩანა ახალაიას საქმეშიც ფიგურირებდა მოწმედ. სწორედ ამ ადამიანს ახალაიას ერთ-ერთ პროცესზე ჩვენების მიცემისას ხელის გულზე დაწერილი ინფორმაცია აღმოუჩინეს.

**ცოტნე გაბაძაძე**

# ვინ რა იცის ასოცირების ხელშეკრულების შინაარსზე?

**მე-2** გვერდიდან

საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის, პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესებიდან გამომდინარე სარგებელისა და შესაძლებლობების, ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიღმა მცხოვრები მოსახლეობისთვის გაზიარების მიზნით, შესაბამისი გზების მოძიება; კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ საზოგადოებებში, ხალხთა შორის კონტაქტების, ნდობის აღდგენისა და შერიგების ძალისხმევის გაძლიერების მიზნით ზომების გატარება. 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმებისა და მისი შემდგომი საიმპლემენტაციო ზომების სრულად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ძალისხმევის გაგრძელება; ევროკავშირის, გაეროსა და ეუთო-ს თანათავმჯდომარეობით მიმდინარე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონსტრუქციული მონაწილეობის შენარჩუნება და მისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა; ადგილზე ქმედითი საერთაშორისო ჩართულობის, მათ შორის, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატის სრულად შესრულების, მნიშვნელობის ხაზგასმა," — ნათქვამია დღის წესრიგში.

როგორც საქართველოში ვიზიტად მყოფმა პოლონეთის სენატის მარშალმა ბოგდან ბორუსევიჩმა განაცხადა, საქართველო ევროპული ინტეგრაციის გზას ადგას და მისასალმებელია ის შიდა რეფორმები, რაც ხორციელდება. პოლონეთი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას სექტემბერში მოახდენს.

„საქართველოს პრემიერთან შეხვედრაზე ვისაუბრეთ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებაზე, ასევე საქართველოში მიმდინარე თვითმმართველობის არჩევნების შესახებ. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას პოლონეთი მას შემდეგ მოახდენს, რაც თვითონ საქართველოს პარლამენტში მოხდება მისი რატიფიცირება. ეს განხორციელდება უმოკლეს ვადებში. ჩვენ დაველოდებით საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პოლონეთის პარლამენტში ხელშეკრულებების გადმომისამართებას. პარლამენტში სესიები შეწყვეტილია აგვისტოში, ამიტომ ეს პროცესი სექტემბრიდან დაიწყება," — განაცხადა ბორუსევიჩმა.

საქართველოში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ, ალბათ ყველამ იცის, თუმცა, ამას ვერ ვიტყვით ხელშეკრულების შინაარსზე. კომპანიამ „აი ფი ემ კვლევები" ასოცირების ხელშეკრულების შესახებ ჩატარებულ კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევის თანახმად საქართველოს მთავრობის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ ინფორმაციას გამოკითხული რესპონდენტების 92% ფლობდა. რესპონდენტების უმეტესობა კი სრულიად პოზიტიურად ან პოზიტიურად აფასებს ამ ფაქტს, 5%-ს კი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს.

„მიუხედავად მკვეთრად გამოხატული პოზიტიური შეფასებისა, დაახლოებით, 63%-მა არ იცის, რას გულისხმობს ასოცირების ხელშეკრულება. 11% მიიჩნევს, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმების შედეგად გაუმჯობესდება ვაჭრობა, ხოლო 9% მიიჩნევს, რომ ამ ხელშეკრულების შედეგად საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი. რესპონდენტების უმეტესობა ასევე ვერ ასახელებს, რა შეიცვლება უშუალოდ მათთვის, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, თუმცა მათ უმეტესობას პოზიტიური ცვლილებების მოლოდინი აქვს, დაახლოებით 10% მოელის სავიზო რეჟიმის გამარტივებას, 9% კი სავაჭრო ურთიერთობების გამარტივებას," — აღნიშნულია „აი ფი ემ კვლევების" მონაცემებში.

კითხვაზე ვის უნდა მოეწერა ხელი ასოცირების ხელშეკრულებაზე რესპონდენტების მხოლოდ 17.5% მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელით ასოცირების ხელშეკრულებაზე მის ფაქტობრივ ხელმომწერს, ირაკლი ღარიბაშვილს უნდა მოეწერა ხელი. 41.9% კი მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელით, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება საქართველოს პრეზიდენტს ჰქონდა.

„აი ფი ემ კვლევებმა" გამოკითხვა ივნისის ბოლოს თბილისის მასშტაბით ჩაატარა. სულ 400 რესპონდენტი გამოიკითხა.

**ცოტნე გაბაძაძე**

# მომხმარებელთა დახმარების ცენტრები

**დარეკეთ ცხელ ხაზზე!**

გაიგე რას ჭამ!
მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

**დაგაეჭვათ სურსათმა, რომელსაც მოიხმართ?**

- არასათანადო პირობებში იყიდება, ინახება ან გადაიზიდება;
- ვადაგასულია, ან მოხმარების ვადა გაუგებარია;
- გაფუჭებულია, დაბინძურებულია, ან სხვა მიზეზის გამო გამოუსადეგარია საკვებად;
- ეტიკეტი გაუგებარია, ან არა ხართ დარწმუნებული, რომ ის პროდუქტის შიგთავსს შეესაბამება

**მოგვმართეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრებში!**

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევა რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას.

ჩვენ დავათვალიერებთ თქვენს მიერ მითითებულ სასურსათო ობიექტს, შევიძენთ თქვენს მიერ დასახელებულ სურსათს, შევამოწმებთ მის ეტიკეტს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიულ შემოწმებასაც მოვახდენთ. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას გავუგზავნით სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, თავად მეწარმეებს, მედია-საშუალებებს, გამოვაქვეყნებთ ვებ-გვერდებზე და გავავრცელებთ სოციალური ქსელების მეშვეობით.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

**თბილისი** — ტელ.: 219 42 42, momxmarebeli.ge, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

**ახალციხე** — ტელ.: 551 555 267, ელ-ფოსტა: mmakhaltsikhe@gmail.com, სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია;

საზოგადოება "ბილიკი"
Society Biliki

**გორი** — ტელ.: 599 534 070, 598 544 053, ელ-ფოსტა: mmcshidakartli@gmail.com, საზოგადოება „ბილიკი";

Friends of the Earth Georgia

**ქუთაისი** — ტელ.: 570 105 573, ელ-ფოსტა: momxmarebeli.kutaisi@greens.ge, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო.

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები მუშაობს პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში".

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

საკონტაქტო პირი: ლელა ბერძული, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანაშემწე. ელ-ფოსტა: lberdzuli@epfound.ge ტელ.: 225-39-42/43, მისამართი: თბილისი, კავსაძის ქ. №3.

დამატებითი ინფორმაციისათვის პროექტის შესახებ შეგიძლიათ, ეწვიოთ ვებ-გვერდს: www.mkidveli.ge

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

SWEDEN

# ქუთაისში ბოინებზე დაკლული პირუტყვის სისხლი მდინარე რიონში ჩაედინება

ცხოველთა სასაკლაო ე.წ. ბოინებზე პირუტყვის დაკვლის პროცესი 2013 წლიდან განახლდა, რითიც ბაზარზე უხარისხო ხორცის შეტანის საფრთხე ნაწილობრივ მოგვარდა. თუმცა, როგორც ადგილობრივები და ბაზრობებზე ხორცით მოვაჭრე ადამიანები აღნიშნავენ, ბოინებზე ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ არაა მოწესრიგებული და რიგი დარღვევები ხდება. როგორც ჩვენმა ერთ-ერთმა წყარომ აღნიშნა, ხშირად ნარჩენები მდინარეში იყრება და პირუტყვის დაკვლაც შესაბამისი წესების დაუცველად მიმდინარეობს.

შევეცადეთ, არსებულ ვითარებას ადგილზე გავცნობოდით, რისთვისაც ნიკეას დასახლებაში არსებული ბოინების სიახლოვეს, მდინარე რიონის სანაპიროების დათვალიერებას შევეცადეთ. ზედაპირულად ნარჩენების აღმოჩენა ვერ მოხერხდა, თუმცა მდინარესთან დაკავშირებული პატარა არხით რიონში წითელი შეფერილობის სითხე, სავარაუდოდ, სისხლი ჩაედინება, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს და არასასიამოვნო სუნიც იგრძნობა. მდინარეში ჩამდინარე სითხე რომ სისხლია, ადასტურებენ იქ მყოფი მეთევზეები და აღნიშნავენ, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა და ხშირად ხდება, თუმცა მდინარეში ნარჩენების ნახვის ფაქტს ვერ იხსენებენ.

მდინარე რიონში მათი ბოინიდან გამდინარე სისხლის ჩადინების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს შპს „ლომას“ ვეტექიმი და აღნიშნავს, რომ შესაძლოა, სისხლი მეორე ბოინიდან ჩაედინებოდეს, რადგან მათ საერთოდ არ აქვთ კანალიზაცია. რაც შეეხება შპს „ლომას“, იქ სალექავები არსებობს, რის შემდეგაც სისხლი ქალაქის კანალიზაციას უერთდება, კანალიზაციიდან კი სად მიდის, არ იცის. თუმცა ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც სისხლის მდინარეში ჩაღვრის ფაქტი ჯერ უარყო, მოგვიანებით აღნიშნა: „მთავარი ის კი არაა, სისხლი სად ჩაედინება, მთავარია, როგორ ჩაედინება? სისხლი იფილტრება, ის ფაქტი, რომ ფერი ჩანს, საშიშროებას არ წარმოადგენს“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეორე ბოინი მათგან დაახლოებით ერთ კილომეტრში, უშუალოდ რიონის პირას მდებარეობს, სადაც, სავარაუდოდ, კანალიზაცია საერთოდ არ არის.

რეალურად საიდან ჩაედინება სისხლის ფერის სითხე მდინარეში და რამდენად ხდება ქუთაისში არსებულ ბოინებზე სტანდარტების დაცვა, სად გადის ბოინებზე არსებული ნარჩენები და რამდენად აკონტროლებს შესაბამისი სამსახურები პირუტყვთა სასაკლაოს – გაზეთი „P.S.“ აგრძელებს მუშაობას და დეტალურ ინფორმაციას მომდევნო ნომერში მოგაწვდით.

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge



## ლია მუხაშავრია:

# „მიუკერძოებელი მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების გაზრდის მცდელობა ყოველთვის საეჭვოდ აღიქმება“

**საშინაო პოლიტიკის აქტუალურ სამართლებრივი საკითხებზე, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს სამართლებრივ საკითხებში, ლია მუხაშავრიას ესაუბრა.**

**— ქალბატონო ლია, საქართველომ მოიგო რუსეთთან სამართლებრივი დავა სტრასბურგის სასამართლოში. სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წელს რუსეთში ეთნიკური ქართველების დაკავების, დაპატიმრებისა და მასობრივი გამოძევებისას ადგილი ჰქონდა კოორდინირებულ პოლიტიკას, რომელშიც სახელისუფლო ორგანოები მონაწილეობდნენ. ფაქტია, რომ ეს გადაწყვეტილება მოსკოვს არ გაეხარდებოდა, მაგრამ იურისტების განმარტებით, თუ მხარეები გადაწყვეტილების აღსრულებაზე ვერ შეთანხმდნენ, საბოლოო ზომებს სტრასბურგი მიიღებს. თქვენი აზრით, შეასრულებს თუ არა მოსკოვი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას და დასჭირდება თუ არა ამ საკითხში სტრასბურგს აქტიური ჩარევა?**

— შემდგომი შეთანხმების საგანია კომპენსაციის ოდენობა. თვითონ ის, რაც დადგენილია, ვგულისხმობ მუხლებს, რომელიც გადაწყვეტილებაში წერია, უკვე არავითარ შეთანხმებას არ ექვემდებარება და უნდა აღსრულდეს. ოღონდ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილების მასალები მინისტრთა კაბინეტს გადაეცემა, მინისტრთა კომიტეტი გამოიმუშავებს ზოგად და ინდივიდუალურ ღონისძიებებს და ზომებს, რომელიც უნდა აღასრულოს რუსეთის მხარემ. ვფიქრობ, რომ ძირითადი აქცენტი გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით იქნება სისტემური ცვლილებები, რადგან გადაწყვეტილებაში ძირითადი აქცენტია გაკეთებული იმ ადმინისტრაციული დაკავებების თაობაზე, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ასეთ მასობრივ დარღვევებს რუსეთის სახელმწიფოში. ეს იქნება საკანონმდებლო ცვლილებები, პრაქტიკის ცვლილებებიც, რომ მომავალში რუსეთში მსგავსი ქმედებები გამოირიცხოს. ინდივიდუალურად, კონკრეტულ დაზარალებულებს, მათ რა განესაზღვრებათ კომპენსაციის ან სხვა ზომების სახით, ცნობილი უკვე აღსრულების პროცესში იქნება. ამას ყველამ უნდა მივადევნოთ თვალი, მინისტრთა კომიტეტის დოკუმენტი საჯარო იქნება და შეგვეძლება გავეცნოთ.

ახლა, რაც შეეხება თავად სასამართლოს გადაწყვეტილებას, ჩემი ღრმა რწმენით, სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქართველოს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება ძალიან დიდი მოვლენაა. საქართველოს მთავრობამ, პირველად ისტორიაში რუსეთს საერთაშორისო სასამართლოში რაღაცაში მოუგო. ეს რაღაც არ არის ევროპული სასამართლოს მხრიდან რუსეთის მიერ ერთი მუხლის დარღვევის აღიარება. ეს არის ძალიან სერიოზული რამ, ვინაიდან საერთაშორისო სასამართლომ აღიარა და დაადგინა, რომ რუსეთის პოლიტიკა და პრაქტიკა ევროპულ სტანდარტებთან მიმართებაში შეუსაბამოა. გარდა ამისა, ეს გადაწყვეტილება გვაფიქრებინებს, რომ გვაქვს შანსი, მოვიგოთ 2008 წლის გამო წარმოებული მეორე სახელმწიფოთაშორისი დავა „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ №2“.

**— თქვენი აზრით, მეორე სარჩელზე ხელისუფლება გააგრძელებს თუ არა მუშაობას?**

— რა თქმა უნდა, უნდა გააგრძელოს. სარჩელი შეტანილია, საქმე მიღებულია, მისი არსებითი განხილვა დაწყებულია. ვფიქრობ, რომ სამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით ახლა ევროსასამართლოს და ევროპის სტრუქტურებს ძალიან კარგი შანსი აქვთ, რუსეთს როგორმე ჭკუა ასწავლონ. ომის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა იქნებოდა ძალიან კარგი მექანიზმი და ამის კარგი საშუალება.

**— ეს შემთხვევით არ მიკითხავს, ვინაიდან სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან რამდენიმე საათში ამ საკითხზე შსს-ს მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა — „საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს“. ამას წინ უძღოდა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადება, რომ გარკვეული ადამიანები მას ურჩევნდენ, 2006 წლის სარჩელზე უარი ეთქვა. ამ ორივე განცხადებებმა გააჩინეს განცდა, რომ ამ საკითხში ხელისუფლებაში, სულ მცირე, აზრთა სხვადასხვაობაა. მეტიც, წულუკიანმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ვიდრე არ გადადგება, ამ თემაზე კომენტარს აღარ გააკეთებს. თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე?**

— თუ ხელისუფლება სტრასბურგში შეტანილ მეორე სარჩელზე უარს იტყვის, ეს მთავრობის მხიდან რუსეთთან ერთად ომში თანამონაწილეობა იქნება, რაც თავის თავად დანაშაულია. მთელ სამყაროში ყველაზე დიდი დანაშაული, ომის დანაშაულია. რაც იმ საჩივარშია, ანუ, რაც ჩვენ რუსეთმა მოგვწია 2008 წლის აგვისტოს დღეებში, თუ ამაზე დღევანდელი ხელისუფლება უარს იტყვის, მე პირობას გაძლევთ, რომ ეს იქნება ამ ხელისუფლებისთვის ანდერძის აღსრულება და სამუდამოდ წავა არა მარტო პოლიტიკური არენიდან, არამედ ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო



ლია მუხაშავრია

ხელისუფლება, გაუთანაბრდება სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელმაც ტერიტორიები დაგვაკარგვინა.

**— უგულავას დაკავებასთან დაკავშირებით ხმაური არ ცხრება. შსს მინისტრ ჭიკაიძის მტკიცებით, უგულავა გაფრთხილებული იყო, რომ მას ქვეყანა არ უნდა დაეტოვებინა. ექსპერტ კახა კახიშვილის განმარტებით „უგულავას სასამართლოს გადაწყვეტილებით ქვეყნის დატოვება არ ეკრძალებოდა“. სხვათა შორის, დამკვირებელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უგულავამ თავისი დაკავება თავად დაგეგმა და თავადვე შეასრულა. თქვენ როგორ ვარაუდობთ, რომ ციხეში აღმოჩენით უგულავას პოლიტიკური წონა კიდევ უფრო გაიზრდება?**

— არ გამოვრიცხავ, რომ უგულავას დაკავება მისთვის პოლიტიკური პიარის ნაწილი იყო. სწორედ ამ დაკავების ფორმა, ფონი და ყველაფერ ამის ონლაინ რეჟიმში გაშუქება მაფიქრებინებს, რომ მომხდარი პოლიტიკური კონიუქტიურით იყო განპირობებული არა მხოლოდ „ნაციონალების“, არამედ „ქართული ოცნების“ მხრიდან. ეტყობა, აქ მათი ინტერესები დაემთხვა. უბრალოდ, „ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის გამოცდილება და კვალიფიკაცია გააცნობიეროს, რომ ამ ფორმით უგულავას დაკავება აზიანებს.

ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა არავის უკრძალავს ქვეყნიდან გასვლას. ჩვენთან არც გაუსვლელობის ხელწერილი არსებობს და არც გადაადგილების შეზღუდვა. ამიტომაცაა, რომ უგულავას დაკავება მით უფრო უცნაურია. მით უმეტეს, რომ წინა დღეს სასამართლომ უარი თქვა რაიმე აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებაზე. გაუგებარია უკანსკნელ 24 საათში რა მოიპოვეს ისეთი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალა, ეს ძალიან სადავო და საეჭვო საკითხია. ისეთი პირი უჩანს, რომ უგულავას დაკავება წინასაარჩევნო კომპანიის კონიუქტურით ნაკარნახევი ქმედებაა.

**— ამ თემაზე ექსპერტმა ზაალ ანჯაფარიძემ ასეთი მოსაზრება გამოთქვა — „პროკურატურას უჭირს მაღალჩინოსნებისათვის ფინანსური დარღვევების შესახებ ბრალის წაყენება, რადგან 2012 წლამდე ელიტური კორუფცია იყო, ჩვენი პროკურატურის თანამშრომლებმა არ იციან ელიტურ კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება, უკეთესი ხომ არ იქნებოდა პროკურატურას დასავლეთიდან კვალიფიციური კადრები მოეწვია.“ თქვენ გაიზიარებდით ასეთ მოსაზრებას?**

— დიახ, გავიზიარებდი. ჩემი მხრიდან იმას დავამატებდი, რომ პროკურატურაში კადრების პრობლემა თვალშისაცემია. ამ პრობლემას ამ ხელისუფლებამ ვერა და ვერ მოუარა. საერთაშორისო ვალდებულებით ნაკისრ შეუსრულებელ ვალდებულებაზე პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ამ უნიათო ხელისუფლებას სრულად დაეკისრება.

**— აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა შეკრებითობის პრინციპის აღდგენაც. საზოგადოებამ მოისმინა როგორც ოპოზიციის უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ, ასევე ამ თემაზე იუსტიციის სამინისტროს განმარტებები. თქვენი აზრი როგორია? რაში დასჭირდა ხელისუფლებას ამ ნაბიჯზე წასვლა? რატომ მოხდა ისე, რომ შეკრებითობის პრინციპთან დაკავშირებით თავიდანვე ხარვეზიანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული?**

— ვერ ვიტყვი, რომ ამ საკითხზე თავიდან არასწორი დაგაწყვეტილება იქნა მიღებული. ერთია, ამ საკითხის თეორიული მხარე, რომელიც მოსამართლეს უნდა აძლევდეს უფლებას, გამოიყენოს შთანთქმის, ნაწილობრივ შთანთქმის ან ნაწილობრივ შეკრების პრინციპი. სასჯელის ინდივიდუალიზაცია არის სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი და ფუნდამენტური პრინციპი. სასჯელის ინდივიდუალიზაცია არ გამოდის, როცა კანონი მოსამართლეს აძლევს ძალიან მკაფიო ჩარჩოებს სასჯელის განსაზღვრისათვის. მათ შორის, დანაშაულთა ერთობლიობის შეკრების, თუ შთანთქმის პრინციპით. როცა ეს პრინციპი არის ცალსახად ისეთი, როგორიც იყო და როგორიც დღეს არის, ანუ, როდესაც ამბობენ, რომ ყველაფერი უნდა შეიკრიბოს ან ყველაფერი უნდა შთანთქას უდიდესმა ზომამ.

ახლა შემოდის შერეული ფორმა. შემოდის, როცა პარლამენტმა ამის შესახებ არაფერი იცის და ეს არის იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა. შემოდის მაშინ, როცა იწყება „ნაციონალების“ დაჭერები. ეჭვი გვაქვს, რომ იგი იქნება გამოყენებული „ნაციონალების“ წინააღმდეგ და ამაზე პირველებმა მათ ატეხეს აჟიოტაჟი. სწორედ მათ ეჩვენებათ, რომ ეს მათთვის არის სახიფათო. ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, რომ იმ სასამართლოს პირობებში, რომლის არც დამოუკიდებლობისა და არც მიუკერძოებლობის ჩვენ არ გვჯერა, მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების გაზრდის მცდელობა ყოველთვის საეჭვოდ და არადამაჯერებლად აღიქმება.

**— ცესკო-მ მიიღო გადაწყვეტილება განმეორებითი არჩევნების 12 ივლისს გამართვის შესახებ. გაკეთდა კომენტარები, რომ განმეორებითი არჩევნების დღის განსაზღვრა პროცესების დარღვევით მოხდა. თქვენი აზრით, რატომ ვერ იღებს ხელისუფლება ისეთ გადაწყვეტილებას, რომ ოპოზოციის მხრიდან კრიტიკა არ მოჰყვეს?**

— ეს არის არაკვალიფიციურობისა და არამოტივირებულობის ძალიან ნათელი გამოხატულება. გარდა ამისა, ეს კიდევ იმის ბრალია, რომ ცესკო მართლა დამოუკიდებელი არ არის და ამას მეტ-ნაკლებად ყოველთვის ავლენს.

**— იყო დრო, როცა საუბარი იყო ცესკო-ს არა პოლიტიკური, არამედ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებაზე. ახალი ხელისუფლების პირობებში ამგვარი პერსპექტივა რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

— ეს საკითხი დიდი ხანია, კრიტიკის საგანია და ამ ქვეყანაში არადა არ დაადგა საშველი, რომ კანონმდებლობით მოწესრიგდეს ეს სფერო და ცესკო-ს შემადგენლობა, გასაჩივრების პროცედურები იყოს როგორც ეკადრება ევროპული ტიპის სახელმწიფოს. ეს უკვე წინა ხელისუფლების კონიუქტურის ბრალი გახლავთ და როგორც ვხედავთ, ეს დღესაც აქტუალურია.

**— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტებული ცესკო ჩაატარებს?**

— უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ისეთი ცესკო გვეყოლება, როგორიც გვყავს. ჰორიზონტზე არ ჩანს, რომ ხელისუფლება აპირებს ცვლილებების შეტანას უკვე მრავალგზის გაკრიტიკებულ საარჩევნო კოდექსში.

**კობა ბენდელიანი**
**„ინტერპრესნიუსი“**

## გოგა პიპინაშვილი:

# „აიფონის თაობა მოდის და ეს ბევრ რამეს წალეკავს"

**„ჰელადოსი" — ასე ჰქვია სპექტაკლს, რომელიც საყმაწვილო სტუდია „სიცოცხლის ხემ" ქუთაისში ჩამოიტანა. წარმოდგენაში ცნობილ მსახიობებთან ერთად 23 შეუზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდი მონაწილეობდა. სტუდიის დამაარსებელი და რეჟისორი გოგა პიპინაშვილია. ინტერვიუების ნაკლებად მოყვარული მსახიობი გოგა პიპინაშვილი გაზეთ „P.S."-სთან იმ თემებზე ალაპარაკდა, რომელიც ქართულ ხელოვნებას, კულტურას და თაობათა ურთიერთობას ეხება. აღმოჩნდა, რომ მსახიობს ყველაზე მეტად ადამიანური ურთიერთობების დეგრადაცია აწუხებს და სწორედ ამიტომ თავის სტუდიაში, სადაც უნარშეზღუდულ ბავშვებზე ზრუნავს, ტრადიციებზე საუბარს არცთუ ცოტა დროს უთმობს.**



**— ბატონო გოგა, რას გვეტყვით თქვენს სტუდიაზე?**

– 20 წელია, რაც ეს სტუდია არსებობს. ეს არის ინტეგრირებული ტიპის სასწავლო ცენტრი, სადაც ყმაწვილები ხელოვნების სიყვარულს ეუფლებიან. საერთოდ, ძალიან არ მიყვარს სიტყვა შეზღუდული შესაძლებლობის გამოყენება, ეს ბავშვები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ყელაზე კარგი ის არის, რომ ისინი სხვა, ჯანმრთელობის მქონე ბავშვებთან ერთად სცენაზე ისე თავისუფლად დგანან, რომ, თუ თქვენ სპექტაკლზე შეატყობთ და გამოარჩევთ მათ დანარჩენებისგან, მე, საერთოდ, უარს ვიტყვი მსახიობობაზე. ისინი ძალიან კარგები არიან, მათი შესაძლებლობები შეუზღუდავია. შეწყალება-შებრალების თემებს იმდენად მივეჩვიეთ, იმდენად ხშირად ვახსენეთ, რომ ჩვენ თვითონ გავრიყეთ ეს ადამიანები. ვფიქრობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, თბილისში იქნება ინტეგრირებული ტიპის თეატრი. თუ ღმერთი ინებებს და ხელშეწყობა იქნება, არ გამოვრიცხავ, რომ აქ იქნებიან ასეთი ბავშვები, დიდებიც და ჩვეულებრივი მსახიობებიც. რამდენიმე სპექტაკლი გვაქვს ერთად ნათამაშევი, მეც ვმონაწილეობდი ამ ბავშვებთან ერთად. გვაქვს კიდევ ერთი დაუწერელი **კანონი — პიესა**, რომლის დადგმასაც ვაპირებთ ერთობლივად, ბავშვებთან ერთად იწერება და წარმოდგენა არ გვაქვს, რა გამოგვივა. უბრალოდ ვცდილობთ, თითოეულმა თავისი შესაძლებლობა წარმოაჩინოს.

ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებში ყველაზე დიდი რაოდენობით არის გაბნეული სიკეთის ის მარცვლები, რასაც ტოლერანტობა და ურთიერთგაგება ჰქვია, ამ მოტივით შევარჩიე მისივე ნაწარმოები „ჰელადოსი" და ქუთაისში ჩამოვიტანე. ვფიქრობ, ეს არის სპექტაკლი, რომლის ნახვაც ყველა თაობისთვის მნიშვნელოვანია. მსახიობები არიან ნანა შონია და თეიმურაზ გვალია, რომელთა გვერდით 25 პატარა მსახიობი დგას, მათ შორის არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონენიც. მუსიკა ეკუთვნის რომა რცხილაძეს, სპექტაკლი უკვე დავდგით თუმანიშვილის სცენაზეც, რასაც დიდი ანშლაგი მოჰყვა, „ჰელადოსი" თვის ბოლოს კვარიათში დაიდგმება, სადაც ჩვენი პატარა მსახიობები რამდენიმე დღით დაისვენებენ კიდეც.

**— რა არის ის, რასაც აუცილებლად ითხოვთ მსახიობისგან?**

— ურთიერთპატივისცემას. მე თუ დავინახე გოგო, რომელიც დეკორატიულ სცენას ათრევს და ბიჭი იქვე დგას და უყურებს, ის ბიჭი, რა გინდ კარგი სამსახიობო შესაძლებლობები ჰქონდეს, ჩემთან ვერ გაჩერდება. გეტყვით, რომ გვაქვს პირდაპირი ლაპარაკი იმაზე, რა ევალებათ ვაჟებს და რა – გოგონებს. როცა ვეხებით სხვადასხვა თემას, სავარჯიშოს და დავალებას, ძალიან ხშირად გვჭირდება დამატებითი რეკვიზიტი, კუბიკი, გადაადგილება და ა.შ. ეს არის აბსოლუტურად ვაჟების გასაკეთებელი და პირველი, რასაც მოვითხოვ მათგან, არის ის, რომ გოგონას უნდა სცენ პატივი. შესაბამისად, გოგონებმაც უნდა დააფასონ ეს და ანალოგიური პატივი სცენ თავიანთ მეგობრებს, ანუ ვაჟებს.

**— რას ფიქრობთ ქართულ ტრადიციებზე და თანამედროვეობაში მათ ადგილზე?**

— არის რაღაცები, რაც ძალიან მისაღებია, მაგრამ ჩვენს ტრადიციულ თემებში არის ისეთი ასპექტებიც, რაც ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ეს მოდის უფრო ძველი ტრადიციებიდან, რომლებიც შემდეგ გავაფუჭეთ. 1 500-კაციანი ქორწილები, დაკრძალვები და ა.შ. არ მომწონს. ადამიანებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა ისწავლონ ტკივილის გაზიარება და არა – ქეიფი. ქეიფი არავის ეშლება. ეს ერთი თემაა, რომელიც ჩემზე ძალიან გამაღიზიანებლად მოქმედებს. არ ვარ თანამედროვეობის წინააღმდეგი, მაგრამ უკომპლექსობა უზრდელობაში არ უნდა აგვერიოს. მიყვარს ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები, რადგან ის ყველა ასაკის და თაობის ადამიანს ასწავლის ყველაზე კარგ რამეს ადამიანობას, კაცურკაცობას, თანამედროვეობამ არ უნდა შეიწიროს ჩვენი ტრადიციები და კულტურა, დღეს ბებოს და შვილიშვილის ურთიერთობაც კი სასწავლებელია. რაღაც დაგვემართა, მერწმუნეთ, ეს შემოსაბრუნებელია, აიფონის თაობა მოდის და ეს ბევრ რამეს წალეკავს. მე არ ვარ პროგრესის წინააღმდეგი, მაგრამ მან არ უნდა შეიწიროს ჩვენი ტრადიციები, ჩვენ დავკარგეთ ერთმანეთის შრომის დაფასება. მაღიზიანებს ახლანდელი მოზარდების ლექსიკა. შეიძლება ნახოთ არაჩვეულებრივი შესახედაობის გოგონა და ბიჭი როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან: „შე დეგენერატო", „შე დებილო", „შე კრეტინო", „შე დამპალო"... ნახეთ, როგორი სიტყვებია! მერე შესაძლოა, ამ ადამიანებს ერთმანეთი შეუყვარდეთ და ურთიერთობა ზუსტად ასე გაგრძელდება.

**— როგორ ფიქრობთ, სად არის წარმატების გასაღები?**

— წარმატების ფორმულა არ არსებობს, წარმატება თავად უნდა შექმნა. მთავარია, ადამიანმა დაიჯეროს ის, რასაც აკეთებს, ქმნის თუ ასე შემდეგ. მთავარია რწმენა და შემდეგ სხვა დანარჩენი. თუ ადამიანს სჯერა, რომ ის იმ საქმისთვის გამოდგება, ე.ი. ეს მართლა ასეა. ზოგჯერ მინახავს ახალგაზრდა, რომელსაც მსახიობობა იმიტომ კი არ უნდა, რომ მას უნდა. არამედ უნდა იმიტომ, რომ მშობელმა გადაუწყვიტა ასე. ასეთი ადამიანისგან, ბუნებრივია, არაფერი გამოვა, რადგან წარმატება შემთხვევით არ მოდის. ხელოვან ადამიანს უნდა შეეძლოს ხელოვნების აღქმა ადეკვატურად, ყველა კი არ უნდა გაქანდეს თეატრში. საერთოდაც, მე მსახიობებს არ ვზრდი, მე მათ უბრალოდ ვასწავლი, როგორი უნდა იყოს კარგი მსახიობი. სცენაზე ასევე გენიალურმა მიხეილ თუმანიშვილმა დამაყენა.

**— თქვენ თქვით, რომ მოზარდებს ასწავლით, როგორი უნდა იყოს მსახიობი, ჩვენც გვითხარით — როგორი უნდა იყოს?**

— გეტყვით ერთს, ნამდვილი მსახიობი არასდროს იცვლის პროფესიას, არ ვიცი, მომავალში რა იქნება, სად ვიქნები და როგორ, მაგრამ ზუსტად ვიცი, ყოველთვის დავრჩები სცენის და მაყურებლის ერთგული.

**— ვიცით, რომ გაქვთ შემოთავაზება საზღვარგარეთიდან, რა გეგმები გაქვთ, შესაძლოა, რომ დატოვოთ ქართული სცენა?**

— მართალია შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ ეს არ იქნება გრძელვადიანი, თან ჯერ დეტალებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, რადგან არ მაქვს გადაწყვეტილი, მივიღებ თუ არა ამ შემოთავაზებას. მოკლედ გეტვით ერთი მათგანის შესახებ, ოქტომბერში იტალიაში მასშტაბური ფესტივალი იმართება, სადაც 35 ქვეყნის საყმაწვილო თეატრი იქნება მიწვეული, მოწვევა უკვე მეც მომივიდა, სურვილი მაქვს ჩემი ბავშვებით წავიდე, მაგრამ გადაფრენით მგზავრობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რისი საშუალებაც არ გვაქვს, ავტობუსით კი ბავშვები ძალიან გაწვალდებიან. რა ვიცი, ვნახოთ, რა იქნება. შემოთავაზება ისრაელიდანაც მაქვს, გადაწყვეტილება ამ შემთხვევაშიც არ მაქვს მიღებული.

**ეკა შალამბერიძე**

# საქართველოს რიგით მეორე პრეზიდენტი გარდაიცვალა

**მისი შეფასება ემოციის გარეშე ძნელია. ბევრისთვის ის ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო (ამას ვერავინ უარყოფს). ნიჭის გარეშე ერთი ფერშალი გურული ყმაწვილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელს ვერ ატარებდა.**







ბოროტად ნიჭიერი, — ამბობენ ადამიანები. უბრალოდ, ედუარდი მოხვდა სათანადო დროს და სათანადო ადგილას, — აცხადებენ მეორენი. იუდა, ბაბუ, თეთრი მელა, ეძიკა, ზოგჯერ მხოლოდ — შევარდნაძე ფენომენალური პერსონა იყო.

ზოგისთვის ის ზვიადის მკვლელია, ზოგისთვის — რუსული დიდი პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი, ზოგიც თვლის მას დემოკრატად. ყველა შეხედულებას აქვს თავისი საფუძველი.

ჩვენ მოვიძიეთ უნიკალური ფოტომასალები „მუზეუმი საწერეთლოს" არქივში. ეს უჩვეულო მუზეუმი 5 ათასზე მეტ ექსპონატს მოიცავს და 10-ზე მეტი აღმოჩნდა მასში ედუარდის ფოტო. თუ შარშან ამ ფოტოებს ფასი არანაირად არ „ედო", ახლა უკვე სამარადჟამოს შეერთებულ მინისტრს, პრეზიდენტს სიბრალულის თუ გაოცების თვალით ვუყურებთ. ვფიქრობთ, რომ ინტელიგენციასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, მან აჩვენა კლასი. თუმცა ამბობენ, რომ მის გარეშე ძნელი იყო რეალობისთვის თვალი გაგესწორებინა, მაგრამ შევარდნაძის ეპოქაში ხდებოდა პოზიტივებიც და ნეგატივებიც.

გაზეთის რედაქცია მადლობას უხდის მუზეუმ „საწერეთლოს" დამფუძნებელს, ბატონ ანდრო გაფრინდაშვილს ფოტომასალის მოწოდებისათვის. ფოტოებზე ედუარდ შევარდნაძის გარდა გამოსახული არიან აკადემიკოსები ევგენი ხარაძე და სერგი დურმიშიძე. სხვა პირები ჩვენთვის უცნობია.

**როლანდ ხოჯანაშვილი**

## ბიძინა ივანიშვილი ტელეწამყვანი ხდება



ტელეკომპანია GDS ადასტურებს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი არხზე ერთ-ერთი საზოგადოებრივ-შემეცნებითი ტოქ-შოუს ავტორი და თანაწამყვანი იქნება. ამის შესახებ GDS-ის განცხადებაშია საუბარი, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

„გვინდა გამოვეხმაუროთ საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციას, ახალი სეზონიდან განახლებული მაუწყებლობისა და სატელევიზიო ბადის ცვლილების შესახებ. ვადასტურებთ, რომ საზოგადოებრივ-შემეცნებითი თოქ-შოუს ავტორი და თანაწამყვანი ბიძინა ივანიშვილია. აღნიშნული თოქ-შოუ საეთეროდ GDS Production-ს უნდა დაემზადებინა. განიხილებოდა მისი საზოგადობრივი მაუწყებლის ეთერში განთავსება, თუმცა ამას, შესაძლოა, გარკვეული კითხვები გამოეწვია საზოგადოებაში, ამიტომ გადაცემის იდეის ავტორთან შეთანხმებით, გადაწყდა ალტერნატიულ ვერსიებზე მუშაობა. ამ ვერსიებიდან ყველაზე სწრაფად და მარტივად (ზედმეტი კითხვების გარეშე) პროექტზე მუშაობის დაწყება, ტელეკომპანია GDS-ს შეეძლო, ამიტომ არხის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება დროებით, მაუწყებლობის ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. არ გამოირიცხება ის ვერსიაც, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, პროექტი გადაეცეს საზოგადოებრივ მაუწყებელს ან სხვა რომელიმე კერძო ტელეკომპანიას, ხოლო GDS TV დაუბრუნდეს მაუწყებლობის პირვანდელ ფორმატს.

ვადასტურებთ, რომ მიმდინარეობს იდეის და, ზოგადად, პროექტის დამუშავების პროცესი, თუმცა არ ვადასტურებთ არცერთ გავრცელებულ ინფორმაციას პროექტის შინაარსობრივ მხარესა და სხვა მონაწილე ადამიანებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია თემასთან დაკავშირებით გასაჯაროვდება და ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, მანამდე კი ტელეკომპანია GDS საზოგადოებას მიმართავს თხოვნით, თავი შეიკავოს დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებისგან,“ — ნათქვამია განცხადებაში.

psnews.ge

# რა საფრთხეებს ატარებს ქალის უკანალზე ტელევიზიით აჟღერებული ფოლკლორი თუ ანეკდოტები?

## უწყინარი ხუმრობა თუ ქალთა დისკრიმინაცია — ტელეკომპანიისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ

**პირველი** გვერდიდან

ქალის შეფასება მისი გარეგნული, ბიოლოგიური მახასიათებლებით, მისი ობიექტივიზაცია და „ნივთად წარმოჩენა“ წარმოადგენს სექსიზმს, რომელსაც დამანგრეველი შედეგების მოტანა შეუძლია ქალთა უფლებრივი მდგომარეობისათვის საქართველოში.

დღეს, როდესაც საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელია, ქალები ყოველდღიურად განიცდიან ჩაგვრასა და უთანასწორო მოპყრობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ხდებიან საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული, სექსისტური შეხედულებების მსხვერპლნი, უჭირთ დაარღვიონ დუმილი და ისაუბრონ ძალადობაზე, შიშსა და დისკრიმინაციაზე, რომელსაც ისინი განიცდიან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არსებული მიდგომების ცვლილებას და არა მათ განმტკიცებას, რაშიც განუზომელია მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების როლი.

ტელევიზია ინფორმაციის მთავარი და პირველადი წყაროა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენისთვის. შესაბამისად, მედიასაშუალებების უზარმაზარი გავლენისა და როლის გათვალისწინებით საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისა და ინფორმაციის გავრცელების პროცესში, მნიშვნელოვანია გავრცელებული ინფორმაცია არ იწვევდეს საზოგადოებაში სტერეოტიპების გაძლიერებას და არ შეიცავდეს ძალადობის წამახალისებელი და ქალის ობიექტივიზაციისაკენ მოწოდებებს. პირიქით, უკვე აშკარაა მედიის დიდი როლი ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში, და მნიშვნელოვანია, მათი მხრიდან გამოყენებული იქნას ყველა საშუალება ამ პასუხისმგებლობის რეალური განხორციელებისათვის.

აუცილებელია, რომ მედიასაშუალებებმა ხელი შეუწყონ ქალის როლის წარმოჩინებას მისი შემოქმედებითი პოტენციალის გათვალისწინებით. გამოხატონ პატივისცემა იმ საქმიანობისა და განუზომელი წვლილისათვის, რომელიც ქალებს შეაქვთ სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დამკვიდრების საკითხში.

სახალხო დამცველი მოუწოდებს ყველა მედიასაშუალებას, გაითვალისწინონ საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული მდგომარეობა, ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელი და უთანასწორო მოპყრობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის ჩამოყალიბებას ქალთა შეურაცხმყოფელი კუთხით წარმოჩინების, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე და შეწყვიტონ სექსიზმის ტირაჟირება.“

### საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განცხადება

„დაუშვებლად მიგვაჩნია ქართული ხალხური სიმღერის არამიზნობრივად, მერკანტილური, მომხმარებლური მიზნით გამოყენება, ე.წ. „პოპულარობის“ მოსაპოვებლად. ეროვნული საუნჯის ხელყოფის უფლება არავის აქვს.“

ცენტრი მიმართავს ფოლკლორულ და შემოქმედებით კოლექტივებს, ასევე სხვა შემსრულებლებს:

„ნუ გახდით მსოფლიოს მიერ აღიარებულ ქართულ ხალხურ სიმღერას საეჭვო, მდარე ხარისხის ექსპერიმენტების სამიზნედ.“

### რუსუდან გოცირიძე — „ასეთი მედიაპროდუქცია ხელს უწყობს ძალადობას“

„ძვირფასო თანამემამულენო, თქვენს დაიკოებსა და შვილიკოებს ხვალ რომ წამოარტყამს ვინმე უკანალზე ხელს და შტერ ქალად ჩათვლის, არ გაგიკვირდეთ და გაიხსენეთ, როგორ გულიანად ხითხითებდით ზემოთ მოხსენებულ გადაცემებზე,“ — ასეთ კომენტარს აკეთებს „ ბაპტისტურ-ევანგელისტური ეკლესიის ეპისკოპოსი რუსუდან გოცირიძე ტელეკომპანია GDS-ის ეთერში გასულ ვიდეოსთან დაკავშირებით.

„GDS-ის გადაცემა არ არის ამოვარდნა და ანომალია ჩვენს მედიასივრცეში. უფრო მეტიც, ლოგიკური გაგრძელებაა მისი წინამორბედი გადაცემებისა თუ სარეკლამო როლიკების („ქალური ლოგიკა“, იუმორისტული გადაცემები, ანეკდოტების ვიდეოვერსიები, ალუდას, ბადაგონის, ელიტელექტრონიქსის, მანქანების, ქალებისათვის დაზღვევის ახალი პაკეტის და სხვა მრავალი რეკლამები...).

ასეთი მედიაპროდუქცია ხელს უწყობს იმ მავნე სტერეოტიპების დამკვიდრებას, რომლებიდანაც საზრდოობს დისკრიმინაციული მიდგომები და ძალადობა...

მესმის, რომ ბევრისათვის ძნელია ამ „კრეატივისა“ და, მაგალითად, ბოლო თვეებში ყოფილი და „მოქმედი“ ქმრების მიერ დახოცილ-დასახიჩრებული 15 ახალგაზრდა ქალის ამბავის ერთმანეთთან დაკავშირება, მაგრამ ვინც იცის ამ კავშირების შესახებ, სიტყვაზე მაინც ვენდოთ (კვლევების მაჩვენებლები ამ შემთხვევაში არ ჭრის).

მესმის, რომ როცა ქალთა უფლებების დამცველები და, ზოგადად, უფლება დამცველები ლაპარაკობენ ამ პრობლემის შესახებ, მაშინვე გრანტების თვლას იწყებს მსმენელ-მაყურებელი. მესმის, რომ მხოლოდ გივი სიხარულიძის ექსპერტულ მოსაზრებას აღიარებს ლეგიტიმურად და მიუკერძოებლად „ნანუკას შოუზე“ და „პროფილის“ სტუმრიანობას მიჩვეული საზოგადოება.

მე მგონი, საერთო ენა უნდა გამოინახოს... ერთმანეთისათვის გასაგებ ენაზე უნდა ვუთხრათ ერთმანეთს რა საფრთხეებს ატარებს ეკრანზე წამოხდილი ქალის უკანალზე აჟღერებული ფოლკლორი, ან ანეკდოტები, რომლის პერსონაჟები არიან მთვრალი მიხო და მარო, ან მანქანის მინაზე აკრული ქალის სახე, რომელსაც სწვდება საბარგულში ჩადებული ბოლო კოლოფის ბიძგები... მერე იქნებ აღარ გაუკვირდეს ადამიანს, რატომ ითმენენ ქალები მოძალადე ქმრებს, რატომ ამართლებს ქალების უმრავლესობა ძალადობას, რატომ გვგონია, რომ „კარგი ცხენის მათრახის“ ამბავი ყველაზე ადექვატური ახსნაა, რატომაა საქართველოში აბორტების უდიდესი მაჩვენებელი დაუბადებელ გოგონებზე, რატომ ვერ ამთავრებენ სკოლას რეგიონის გოგონები...

ნუთუ ჩვენი შვილების დანგრეული მომავალი გვიღირს ამ უგემოვნო და უხამს ხალისობად?“

### ქალთა საინფორმაციო ცენტრის განცხადება

ტელეკომპანია GDS-ის ეთერში 9 ივლისს გადაცემა „ბინა 18“ გავიდა, სადაც ჯგუფი „ბანი“ ასრულებს რაჭულს და მუსიკალურ ინსტრუმენტად ქალის სხეულია გამოყენებული. ვიდეოზე ასახულია, როგორ უკრავს გადაცემის სტუმარი „რაჭულის“ მელოდიას გოგონების უკანალზე. გენდერის სპეციალისტების თქმით, აღნიშნული ვიდეომასალა ქალთა უფლებების დარღვევის, აბუჩად აგდების და განივთების ნიმუშია. იურისტების თქმით, ტელეკომპანიამ ეთიკის სტანდარტები დაარღვია.

"GDS-ის ეთერით, 9 ივლისს გასულ გადაცემა „ბინა 18“-ს, სადაც ქალის სხეული მუსიკალური ინსტრუმენტის სახით არის გამოყენებული, უხეში ფორმით გამოხატავს დისკრიმინაციას ქალთა მიმართ.

„მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობა გაეროში ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, ნაკისრი ვალდებულებებისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის პრეზენტაციას აკეთებდა, ქართული ტელეეთერით ქალთა მიმართ დისკრიმინაციული ელემენტების შემცველი გადაცემა გავიდა.

მედია, რომლის როლიც საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირებაში საკმაოდ მაღალია და მისი პირდაპირი მოვალეობაა, ხელი შეუწყოს სხვადასხვა საკითხებისადმი სწორი მიდგომების ჩამოყალიბებას, ეთერს უთმობს მსგავსი ტიპის თემების გაშუქებას, რაც ხელს უწყობს არსებული გენდერული სტერეოტიპების გამყარებას და უხეში ფორმით გამოხატავს დისკრიმინაციას ქალთა მიმართ.

მივმართავთ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას, საჯაროდ მოიხადოს ბოდიში 9 ივლისს ეთერში გასული გადაცემის გამო და მიიღოს შესაბამისი ზომები „ბინა 18“-ის შემოქმედებითი ჯგუფის მიმართ.“

***

გადაცემას განსაკუთრებული აჟიოტაჟი მოჰყვა სოციალურ ქსელში. გთავაზობთ რამდენიმე კომენტარს:

**ეთერ კველაძე:** „ქართველობას გვართმევენ“, დასავლეთი ყვრნის ახალგაზრდობას... „ღვთისმშობლის წილხვედრი“... და ა.შ. ამ კონტექსტში როგორ ჯდება ეს ყველაფერი? კარგი ის უბედურები, ალბათ, ფულისთვის აკეთებენ ამას, მაგრამ „ქართველი ვაჟკაცები“? ხომ აცხადებთ, რომ ჩვენთან ქალის კულტია და მაგ ტელევიზიის პატრონმა ღირსება დაგიბრუნათ? „ბედნიერი ერი“ — ის ღირსება, ალბათ, სხვანაირი ვერც იქნებოდა... ყოჩაღ!!!

**გიორგი ონიანი:** „როგორც ვატყობ კონსერვატორიის დასარტყამ ინსტრუმენტების ფაკულტეტს მალე დაემატება ახალი საგანი... დედა რა იყო ეს ა?“ ჩაკრულოს ქვეყანაში... ჩანგის, ჭიანურის, ჩონგურის ქვეყანაში საჯდომზე დაკვრის პოპულარიზაცია ხდებოდეს — ეგ ერის გამოქლიავების მანიშნებელია.“

**თამარ ჩერგოლეიშვილი:** „ისე მაგრად მაინტერესებს, კაცები რომ წაიკუზონ GDS-ში და წამყვანებმა საჯდომებზე უტყაპუნონ, რა რეაქცია ექნებოდა საზოგადოებას? GDS TV Official — კოლეგებო, არ გსურთ სცადოთ? დამიკმაყოფილეთ ინტერესი. თუ შეიძლება, წაკუზეთ ქართველი ჯიგიტები და დაუკარით მათ უკანალებზე.“

**გიგა ნასარიძე:** „კაცებისას ცუდი ხმა ექნება ჩვენში, მოგუდული. ეგ ხომ თქვეს, რომ სექტემბრიდან იქნება, ბიძინას გადაცემაში. ეს მოთელვა იყო.“

**მაკა რამიშვილი:** „კაცების წაკუზვა ბიძინამ რომ მოითხოვოს, ის სტუდია არ ეყოფათ იმდენი ჩადგება რიგში, ისე ზოგიერთი უკვე წარმოვიდგინე მაგ პოზაში და გავხალისდი.“

**გადაცემით თავს შეურაცხყოფილად არ თვლის ერთ-ერთი მონაწილე, მოცეკვავე მარი ბაბე**, რომლის სხეულიც ინსტრუმენტად გამოიყენეს და აღნიშნავს, რომ მართალია თანხა აიღო, მაგრამ ეს მხოლოდ ფულისთვის არ გაუკეთებია.

„თანხა ავიღე, თუმცა თანხა არ წყვეტდა ჩემს იქ მონაწილეობას. მე თვითონ ვიხალისე იქ გამოსვლით და არანაირად არ ვთვლი, რომ ეს გამოსვლა იყო ქალებისთვის შეურაცხმყოფელი. ჩვეულებრივი სახალისო ნომერია, ჩვეულებრივი შოუა. მართალია, საქართველოს ჩარჩოებს გასცდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ შოუ შედგა. ჩემთვის ეს იყო საინტერესო და ახალი, რომელშიც დიდი სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. მე მოცეკვავე ვარ, ფინანსურად არ მიჭირს, ამის გარდა მე სხვა შოუებშიც ვიღებ მონაწილეობას, ამიტომ ჩემთვის ეს პრობლემა არ არის. არ დაგიმალავთ, თანხა ნამდვილად ავიღე, მაგრამ თანხის გამო ეს არ გამიკეთებია. ეს არანაირად არ არის ქალის შეურაცხყოფა. მე ჩემს თავს არ ვთვლი შეურაცხყოფილად და სხვა რატომ ლაპარაკობს ჩემს მაგივრად. თუ თავად გრძნობენ თავს შეურაცხყოფილად, ეს მათი პრობლემაა. მგონია, რომ ძალიან სისულელეს იძახიან. საერთოდ, რა შუაშია ქალის უფლებები შოუსთან დაკავშირებით. მე ქუჩაში ჩვეულებრივად გავდივარ და არავინ მლანძღავს, არც მე ვგრძნობ თავს შეურაცხყოფილად და სხვები რატომ გრძნობენ, ვერ ვხვდები. კიდე, თუ იქნება მსგავსი შემოთავაზება ასეთ შოუებში, ისევ დავთანხმდები და მივიღებ კიდეც მონაწილეობას,“ — განაცხადა მარი ბაბემ.

**ნესტან ჩაგელიშვილი**





## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** უმჯობესია, მეტი საქმე აკეთოთ და ნაკლები ილაპარაკოთ. თქვენ მოგეთხოვებათ დინჯად, აუჩქარებლად, ყოველი ნაბიჯის მოზომვით მოქმედება. სასიყვარულო და თბილი ურთიერთობა ახლობლებთან, მათ მიმართ ზრუნვის და დამოკიდებულების გამოხატვა აუცილებელია.

**კურო:** ეცადეთ, ყველაფერი გააკეთოთ მიზნის მისაღწევად, არ დაიხიოთ უკან. ყურადღებით იყავით ყველა დეტალის და ნიუანსის მიმართ, არაფერი გამოგრჩეთ.

**ტყუპები:** შესაძლოა, მოიყვანოთ სისრულეში დიდი ხნის ჩანაფიქრი. ნუ შეუშინდებით წინააღმდეგობებს. ყველა პრობლემა იოლი გადასალახია. ასე რომ, მოიკრიბეთ ძალები და ყველაფერი კარგად იქნება. რაც უფრო აქტიური იქნებით, მით უფრო მარტივად მიაღწევთ დასახულს.

**კირჩხიბი:** შესაძლებელია, გართულდეს ურთიერთობები პარტნიორთან ან კოლეგებთან, სიფრთხილე არ გაწყენთ. თუ რჩევას დაუგდებთ ყურს, მაშინ ბევრ პრობლემას და უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან.

**ლომი:** აუცილებლად უნდა დაამთავროთ დიდი ხნის წინ დაწყებული საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია უსიამოვნებები. წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ კოლეგების რჩევებს გაითვალისწინებთ.

**ქალწული:** დიდია ალბათობა, რომ ისეთ სასიამოვნო სიახლეებს აღმოაჩენთ, რომელთა არსებობაზეც კი არ დაფიქრებულხართ. ახალი ნაცნობობა, მოულოდნელი და სასიამოვნო შეხვედრები გელით.

**სასწორი:** დაიწყეთ ახალი ინდივიდუალური ან ერთობლივი პროექტები, ასევე სწავლების ახალი ციკლი, მოემზადეთ საცხოვრებელი ადგილის შესაცვლელად.

**მორიელი:** უმჯობესია, ყველა სერიოზული შეხვედრა გადადოთ. დრო დაუთმეთ შეცდომების მოძიებას და მათ გამოსწორებას.

**მშვილდოსანი:** თქვენ მიიღებთ იმას, რაც დაიმსახურეთ მხოლოდ შესაბამის დროს. შეეცადეთ, მცირე დეტალებიც კი გათვალოთ მომავალი შეხვედრის.

**თხის რქა:** პარტნიორის მიმართ ან მასზე თქვენი დამოკიდებულება მეტად გაძლიერდება, რაც ცოლქმრული ურთიერთობის განმტკიცების ფაქტორი გახდება.

**მერწყული:** მოუსმინეთ გარშემომყოფებს, შესაძლოა, მათმა რჩევებმა და იდეებმა შეგაცვლევინონ გეგმები. ნუ აჩქარდებით მნიშვნელოვანი ბიზნესს გადაწყვეტილებების მიღებისას.

**თევზები:** იმდენად მობილიზებული ხართ საკუთარ მიზნებზე, რომ გარშემო ვერაფერს ამჩნევთ, მხოლოდ დამხმარე ადამიანებს.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. ავიცენა . 5. ატამი. 6. ოსი. 8. უგო. 9. მავრი. 11. აბაზანა.
**შვეულად:** 1. ფილმი. 2. გეა. 3. ანტიგუა. 4. ავსტრია. 7. მარათ. 10. ტარ.



## ქუთაისში გაუჩინარებულ გოგონას ეძებენ

14 წლის ქუთაისელი მარიამ გეგუჩაძე 30 ივნისს დაიკარგა. ოჯახი მის კვალს ამ დრომდე უშედეგოდ ეძებს. როგორც დაკარგულის დედა სოფო ადეიშვილი აღნიშნავს 30 ივნისს მარიამ გეგუჩაძე ურეკის ბანაკში ოჯახთან ერთად იმყოფებოდა, საიდანაც დაიკარგა.

სოფო ადეიშვილის თქმით, მარიამ გეგუჩაძესთან მცირე შელაპარაკება მოუვიდა, რის შემდეგაც გოგონა ბანაკიდან წავიდა. ადეიშვილის განცხადებით, მისი შვილი მსგავსი პრობლემით ადრეც წასულა სახლიდან, თუმცა, ეს მხოლოდ ერთი დღით მოხდა და ოჯახთან კონტაქტზე გამოვიდა. „უბრალოდ ვუსაყვედურე, მეტი არაფერი, ეს არ იქნებოდა მიზეზი იმისა, რომ 11 დღე დაკარგული იყო. ჩვენ მის odnoklassnik-ში გავეცანით კომენტარებს, ვიღაც გიორგის წერდა, ამ გიორგის მეგობრებს ვთხოვეთ მოეცა მისი კორდინატები, მაგრამ მეგობარი, რომელიც მეგის სახელით არის რეგისტრირებული, ინფორმაციას არ გვაძლევს და გვეუბნება, რომ თავი დავანებოთ და შარში არ გავხვიოთ. ჩემი შვილი odnoklassnik-ის საკუთარ გვერდზე 4 ივლისს შევიდა, თუმცა არ შეგვხმიანებია. ვიცით, რომ კვალი ბათუმში იკარგება, სადაც ბოლოს ჩემს ნათლულს ანა თურმანიძეს შეხვდა,“ — განაცხადა სოფო ადეიშვილმა.

მისივე თქმით, მან 1 ივლისს მიმართა ურეკის ადგილობრივ პოლიციას, თუმცა უშედეგოდ, როგორც საპატრულო პოლიციაში განუცხადეს, მსგავსი საქმე უშიშროებას ეხება. ოჯახი სოციალური ქსელის მეშვეობით ვინმე გიორგის კონტაქტზე გასვლას მოითხოვს.

სოფო ადეიშვილი: „მივმართეთ პოლიციას, მაგრამ გვითხრეს, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით ინფორმაციის მოძიება უშიშროების საქმეა, უშიშროება კი პოლიციაში გვამისამართებს, ველარ გავიგეთ, 11 დღეა ბავშვი დაკარგულია და ძალოვანი სტრუქტურები არ ინტერესდებიან. ამდენი ხელჩასაჭიდია და შეიძლება ამ დრომდე დაკარგულის კვალზე ვერ გასულიყვნენ? მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაინტერესდეს აღნიშნული საქმით და დაწყონ ჩემი შვილის ძებნა.“

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge



„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©


როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

**უფასოდ**
**ქვემოთ მოცემულ კუპონზე**

**განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან**

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
**კუპონი უნდა ჩაბარდეს**
**რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;**
**სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.**
**არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.**
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

**მცირე განცხადების კუპონი**

აღნიშნე კატეგორია

| უძრავი ქონება | ავტო-მოტო | სხვადასხვა |
| --- | --- | --- |
| ☐ გავყიდი | ☐ ვიყიდი | ☐ ვიყიდი |
| ☐ ვიყიდი | ☐ გავყიდი | ☐ გავყიდი |
| ☐ გავაქირავებ | **სამსახური** | ☐ სხვა |
| | ☐ ვეძებ სამუშაოს | ☐ ცხოველები |

**განცხადების შინაარსი**

ტელ:

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე

☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

**14.07.2014**




შეადგინა ალეკო ნემსაძე

## ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, **სანდრა რულოვსი** პირველად **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო, შემდეგ ნანა ფანცხავამ.

## რას დაარქმევდით?



დაგვიკავშირდით:
- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



გიგი უგულავა
ნორლანდის და ოთარ კობერიძის ცრემლთადენით პოლიტიკურ სამარეში მიმავალი.
**შაქრო გაბელაშვილი**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 3. პუშკინი: „... და ლიუდმილა“. 5. ობობას აბლაბუდა. 6. არე თვალის ქვემოთ. 8. დიდი ზომის გადაშენებული ფრინველი. 9. ფინური აბანო. 11. მისი დედაქალაქია კინგსტონი.

**შვეულად:** 1. ქალი, გოგონა, ქალიშვილი. 2. მიმართვა კაცისადმი პოლონეთში. 3. ქალაქი რუსეთში დონის... 4. „ამომავალი მზის“ ქვეყანა. 7. მომღერალი ... კალასი. 10. ბალანი ადამიანის თავზე.



# საქართველოს სომელიეთა ასოციაცია მსოფლიო სომელიეთა ასოციაციის ნამდვილ წევრად მიიღეს

**საფრანგეთმა, შამპანის დედაქალაქ რეიმსში მსოფლიოს სომელიეთა ასოციაციის გენერალურ ასამბლეას უმასპინძლა. ამ შეხვედრაზე საქართველო მსოფლიო ასოციაციის ნამდვილ წევრად მიიღეს.**



საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი, ღვინის საპატიო ელჩი შალვა ხეცურიანი

ასამბლეას მუშაობაში საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი, ქართული ღვინის საპატიო ელჩი შალვა ხეცურიანი მონაწილეობდა. მან სიტყვით მიმართა შეკრების მონაწილეებს და საქართველოში მიმდინარე იმ წარმატებულ საქმიანობაზე ისაუბრა, რაც ბოლო პერიოდში ქართული ღვინისა თუ სომელიეს პროფესიის პოპულარიზაციისთვის კეთდება.

მსოფლიო სომელიეთა ასოციაციის ასამბლეაზე განხილულ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი იყო სომელიეს საქმიანობის სტანდარტის შემუშავებასა და პროფესიულ განვითარებაზე მსჯელობა.

ასამბლეამ ასოციაციის აზიის ქვეყნების ახალი ვიცეპრეზიდენტის პოსტზე ჩინეთის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი აირჩია.

ასამბლეის ფარგლებში საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი, ღვინის საპატიო ელჩი, შალვა ხეცურიანი შეხვდა და ქართული ღვინის უცხოეთში გაყიდვების საკითხზე მოლაპარაკებები გამართა ჩინეთის, იაპონიის, შვედეთის, ნორვეგიის, დანიის, კანადის, ფინეთის, ინგლისისა და პოლონეთის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტებთან, რათა დაეხმარონ საქართველოს სომელიეთა ასოციაციას, რომ მათ ქვეყნებში გაიზარდოს ქართული ღვინის ცნობადობა და გაყიდვები, მოხდეს მისი პოპულარიზაცია ახალ ბაზრებზე.

**ნატო გუგელაძე**

# ტიბეტელი ბერების სასწაულმოქმედი რეცეპტი, რომელიც 100-მდე დაავადებას კურნავს...

ქვემოთ მოცემული რეცეპტი ტიბეტის ერთ-ერთ მონასტერში 1971 წელს თიხის ფირფიტაზე აღმოაჩინეს და ყველა ენაზე თარგმნეს. ფირფიტა ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დაახლოებით, მეოთხე საუკუნით თარიღდება.



**კურნავს შემდეგ დაავადებებს:** ხელს უწყობს ორგანიზმიდან ცხიმების და მავნე ნივთიერებების გამოდევნას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, გამოიყენება პროფილაქტიკისთვის გულის შეტევის, სტენოკარდიის დროს. ებრძვის გაფანტულს სკლეროზს, დამბლას, სხვადასხვა ხარისხის სიმსივნეებს, განსაკუთრებულად საწყის სტადიაში, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მხედველობას, შველის სახსრების ტკივილს, მეხსიერების დაქვეითებას, სწორი მკურნალობის შემთხვევაში, კურსის დასრულების შემდეგ იგრძნობთ მნიშვნელოვან გაახალგაზრდავებას.

**მომზადების წესი:**
350 გრამი ნიორი დაჭერით წვრილად და დანაყეთ ხის სანაყში. ზედა ფენა მოხსენით, ისე რომ 200 გრამი დარჩეს. გადაიტანეთ ხის ჭურჭელში, დაასხით 200 გრამი სუფთა სპირტი და გააჩერეთ ათი დღის განმავლობაში ბნელ და მშრალ ადგილას. შემდეგ გადაიტანეთ მკვრივ ნაჭერში და კარგად გაწურეთ. მიღებული სითხე მჭიდროდ დახურული გააჩერეთ სამი დღე ბნელ და მშრალ ადგილას და მეოთხე დღეს დაიწყეთ მკურნალობა. შედეგისთვის აუცილებელია მკაცრად დაიცვათ ქვემოთ მოყვანილი სქემა:

**1 დღე:**
საუზმე - 50 გრ. ცივ რძეში პიპეტკით ჩაასხით 1 წვეთი და მიიღეთ ჭამის დროს
სადილი - 50 გრ. ცივ რძეში პიპეტკით ჩაასხით 2 წვეთი და მიიღეთ ჭამის დროს
ვახშამი - 50 გრ. ცივ რძეში პიპეტკით ჩაასხით 1 წვეთი და მიიღეთ ჭამის დროს

**მე- 2 დღე:**
საუზმე - 4 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 5 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 6 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-3 დღე:**
საუზმე - 7 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 8 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 9 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-4 დღე:**
საუზმე - 10 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 11 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 12 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-5 დღე:**
საუზმე - 13 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 14 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 15 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-6 დღე:**
საუზმე - 15 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 14 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 13 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-7 დღე:**
საუზმე - 12 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 11 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 10 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-8 დღე:**
საუზმე - 9 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 8 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 7 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-9 დღე:**
საუზმე - 6 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 5 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 4 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-10 დღე:**
საუზმე - 3 წვეთი რძეში გახსნილი
სადილი - 2 წვეთი რძეში გახსნილი
ვახშამი - 1 წვეთი რძეში გახსნილი

**მე-11 დღიდან** დარჩენილი ნაყენიდან მიიღეთ დღეში სამჯერ რძეში გახსნილი 25 წვეთი ნაყენი, სანამ ბოლომდე არ ამოწურავთ.
მკურნალობის კურსის გამეორება შეიძლება 5 წელიწადში ერთხელ. წამალმა უკუჩვენება შეიძლება მოგცეთ მათ ვისაც გაწუხებთ კუჭის მწვავე დაავადებები.
**გისურვებთ ჯანმრთელობას.**

eva.ge

# თუ ბავშვს კოღომ უკბინა...

როცა კოღოები აქტიურად იწყებენ „სალაშქროდ გამოსვლას“, იმ პერიოდში საერთოდ არ ღირს, საღამოს საათებში ბავშვი გარეთ იყოს ზედმეტად ხალვათად ჩაცმული. ჯობს, ხელები და ფეხები შედარებით დაფარული ჰქონდეს და თუ საერთოდაც მოერიდებით მის გარეთ გაყვანას საღამოს საათებში (განსაკუთრებით ჩვილი ბავშვის, და განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ბევრი კოღოა), უკეთესი იქნება. თუ გაიყვანთ გარეთ, ჯობს მწერების საწინააღმდეგო საშუალებებით დაიცვათ.

თუ მაინც უკბინა კოღომ (და ეს წესი სხვა მწერების ნაკბენებზეც შეგიძლიათ გაავრცელოთ), აუცილებლად მაშინვე უნდა დაამუშავოთ, რომ შემდეგ მეტად არ გაღიზიანდეს, არ გასივდეს, ქავილის შედეგად ინფექცია არ შეეჭრას პატარას. ექიმები გვირჩევენ, მაშინვე წავუსვათ ნაკბენ ადგილებზე სოდიანი ტამპონი — 1 ჩაის კოვზი საჭმელი სოდა გახსენით ერთ ჭიქა თბილ წყალში, მასში დაასველეთ ბამბა და 10 წუთით დაადეთ. შემდეგ დაუმუშავეთ სპირტით ან ბრილიანტის მწვანეთი.
ასევე კარგი საშუალებაა შუაზე გაჭრილი ხახვის დადება ნაკბენ ადგილზე, ძალიან მარილიანი წყლის. ხოლო იმისთვის, რომ კოღოებისგან დავიცვათ თავი, კარგი საშუალებებია მიხაკის ზეთი, ლიმონის ბუჩქი, ბაზილიკი, ვანილი. სახლში ფანჯრებზე გააკარით მწერებისგან დამცავი ბადე, დროდადრო შეაერთეთ კოღოებისგან დამცავი სპეციალური ელექტროსპირალები.



MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge
ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:
• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
• ენციკლოპედიები;
• ლექსიკონები;
• ჟურნალ-გაზეთები
ნიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფულმარტი“ (ყოფილი „პოპული“), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSpress-კლუბი





ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94